

ევროდრამა|Eurodram

თანამედროვე პიესების თარგმანების კონკურსი
2026-2027

დრამატურგიის თარგმნის ევროპული ქსელის (EURODRAM) ქართული კომიტეტი, საერთაშორისო საკონკურსო პროგრამის ფარგლებში, აცხადებს ***თანამედროვე უცხოური პიესების ქართული თარგმანების*** კონკურსს.

კონკურსის პირობები

- პიესის შექმნილი უნდა იყოს თანამედროვე ავტორის მიერ ევროპის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ახლო აღმოსავლეთის ან ცენტრალური აზიის იმ ქვეყნის ენაზე, რომელიც ევროდრამის საერთაშორისო ქსელშია წარმოდგენილი, გარდა ქართული ენისა (იხ. ევროდრამის ქსელში შემავალი ქვეყნების ჩამონათვალი)
- პიესის ავტორისა და მთარგმნელის ვინაობასთან დაკავშირებული ისეთი გარემოებები, როგორებიცაა წარმომავლობა, მოქალაქეობა და საცხოვრებელი ადგილი, შერჩევისას მხედველობაში არ მიიღება.
- თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ბოლო 10 წლის განმავლობაში (2017 წლის 1 იანვრის შემდეგ).
- საკონკურსოდ მიიღება როგორც გამოუქვეყნებელი, ისე გამოქვეყნებული და უკვე დადგმული პიესების თარგმანები.

- ერთსა და იმავე მთარგმნელს შეუძლია წარადგინოს ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი პიესის თარგმანი.
- ერთსა და იმავე მთარგმნელს შეუძლია წარადგინოს მაქსიმუმ სამი სხვადასხვა ავტორის თითო პიესის თარგმანი.
- ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე პიესის თარგმანის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვადასხვა მთარგმნელის მიერაა შესრულებული.
- მთარგმნელი შესაძლოა თავადვე იყოს ორიგინალი ტექსტის ავტორი.
- თარგმანი საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ პიესის ავტორის თანხმობის შემთხვევაში.
- წინა წლების თარგმანების კონკურსებზე უკვე წარდგენილი ნაწარმოებები საკონკურსოდ აღარ განიხილება.

საკონკურსო ნაწარმოების წარდგენის წესი

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მთარგმნელმა უნდა წარმოადგინოს:

1. პიესის თარგმანის სრული ტექსტი *PDF ფორმატში;*
2. შევსებული საკონკურსო განაცხადის ფორმა *PDF ფორმატში,* რომელიც მოიცავს ინფორმაციას პიესის ავტორისა და მთარგმნელის შესახებ, პიესის შექმნის, თარგმნის, გამოქვეყნებისა და დადგმის ისტორიას, აგრეთვე პიესის სინოფსისს (ჩამოტვირთეთ განაცხადის ფორმა).
3. საკონკურსო მასალა მიიღება ელექტრონული ფორმით, მისამართზე: eurodramge@gmail.com
4. საკონკურსო ნაწარმოებების წარდგენის ბოლო ვადა ***2026 წლის 21 დეკემბერი.***

შერჩევა და გავრცელება

- კონკურსის ფარგლებში ქართული კომიტეტი შეარჩევს თანამედროვე პიესების *სამ საუკეთესო ქართულ თარგმანს*, რომლებიც გავრცელდება ევროდრამის საერთაშორისო ქსელში და გაეწევა რეკომენდაცია გამოსაქვეყნებლად და დასადგმელად.
- შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, შერჩეული პიესების თარგმანები გაერთიანდება და გამოიცემა *ცალკე კრებულად,* თანამედროვე უცხოური დრამატურგიის ქართველი მკითხველისა და თეატრის პროფესიონალებისთვის გაცნობის მიზნით.

- კონკურსის შედეგები გამოცხადდება ***2027 წლის 21 მარტს,*** Eurodram-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://eurodram.org/).

„ევროდრამა“ [EURODRAM] არის თანამედროვე დრამის თარგმნის ევროპული ქსელი, რომელიც 300-ზე მეტ წევრსა და 30 ენობრივი კომიტეტს აერთიანებს. ქსელის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს თანამედროვე პიესების თარგმნას ევროპის, ცენტრალური აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, გაზარდოს მათი ხელმისაწვდომობა თეატრის პროფესიონალებისა და ფართო აუდიტორიისთვის – დამოუკიდებლობის, თანასწორობისა და ენობრივი მრავალფეროვნების პრინციპებზე დაყრდნობით.
„ევროდრამის“ ენობრივი კომიტეტები ყოველ მეორე წელს ირჩევენ თითოეული კომიტეტის ენაზე შექმნილ სამ საავტორო პიესას და რეკომენდაციას უწევენ მათ თარგმნას სხვა ევროპულ და ახლო აღმოსავლეთის ენებზე. შუალედურ წლებში კი, კომიტეტები ირჩევენ ამავე ენაზე შესრულებულ სამ საუკეთესო თარგმანს და რეკომენდაციას უწევენ მათ გამოქვეყნებასა და/ან დადგმას.

https://eurodram.org/wp-content/uploads/2026/10/Application-Form-Georgian.docx